დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

31/01/2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი **ვასილ**

გვარი **კიკუტაძე**

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მენეჯმენტი
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-6
4	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 4400, ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი 11. მე - 20 კორპუსი
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №8553 18.01.2021წ;
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 22 დეკემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	1 წელი, 2021 წლის 22 დეკემბრამდე

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 22 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში ლოგიკურად აისახოს ,,ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ ნაწილში პროგრამის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის ყველა შედეგები;
2. რეკომენდირებულია განხორციელდეს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, უცხო სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1, უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2, ფინანსური აღრიცხვა 1, ფინანსური აღრიცხვა 2 და ორგანიზაციული ქცევა) სწავლის შედეგების კორექტირება და მათი პროგრამის სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის გათვალისწინებით;
3. რეკომენდირებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და შუალედური შეფასებისათვის განკუთვნილი დრო;
4. რეკომენდირებულია გრძელვადიან პერიოდში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემცირდეს ერთი აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამით გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;
5. რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის გადახედვა, გადაფარვების აღმოფხვრა და ლოგიკური განვითარება;
6. რეკომენდირებულია სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზების აღმოფვრა;
7. რეკომენდირებულია კურსების სილაბუსებში ძირითადად ლიტერატურად მითითებული იყოს მხოლოდ სწავლების პროცესში გამოყენებული სახელმძღვანელოები.

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის №8553 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა სრული 7 წლიანი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების 12 თვეში (22.12.2021-მდე) შესრულების წინაპირობით. აკრედიტაციის დროს პროგრამას განესაზღვრა 7 რეკომენდაცია, რომელიც ასახული იქნა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში. როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციებისა შესრულების მიზნით განახლდა „მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, განისაზღვრა აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილების შესწავლის მიზნით თვითშეფასების ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაოები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. თვითშეფასების ჯგუფის მიერ განხორციელდა გარკვეული სამუშაოები და პროგრამის ხელმძღვანელების, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების შემაჯამებელი აღწერა და მომზადდა ანგარიშის პროექტი. „მენეჯმენტი“-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის პროექტი განხილული იქნა სატრანსპორტო და ბიზნეს პროცესების მართვის დეპარტამენტის, ლოგისტიკური და საინფორმაციო სისტემების მათემატიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სხდომაზე და საბოლოო სახით დასამტკიცებლად გადაეცა ფაკულტეტის საბჭოს. არსებული რეკომენდაციების შესაბამისად:

- დაკორექტირდა პროგრამის კურიკულუმის რუკა, სადაც ლოგიკურად დაფიქსირდა ცალკეული სასწავლო კურსების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეზე;

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

- დაკორექტირდა პროგრამის სწავლის შედეგები ,,ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ ნაწილში;
- დაკორექტირდა ცალკეულის სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და გაიზარდა შუალედური გამოცდისთვის განკუთვნილი დრო;
- პროგრამის განმახორციელებლებს დაემატა მოწვეული აკადემიური პერსონალი;
- მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ზოგიერთ სასწავლო კურსის ფარგლებში შესასწავლი საკითხების გადაფარვის შესაძლებლობა;
- განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა, შესაბამისად სილაბუსებში ძირითადად ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ სწავლების პროცესში გამოყენებული სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები;

რჩევ(ებ)ი[8]

1. ----------
2. ----------

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა დაწესებულებამ იზრუნა ასევე აკრედიტაციის პროცესში გაცემული რჩევების შესრულებაზეც.

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**
რეკომენდაცია I[14]	*რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში ლოგიკურად აისახოს ,,ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის“ ნაწილში პროგრამის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის ყველა შედეგები;*
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად დაწესებულების მხრიდან განხორციელდა კონკრეტული ქმედებები, კერძოდ როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა გადახედილი იქნა პროგრამის სწავლის შედეგები, რის შედეგადაც პროგრამას დაემატა ერთი სწავლის შედეგი ,,ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის“ ნაწილში. აღნიშნული სწავლის შედეგი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: ,,იღებს პასუხისმგებლობას დადგენილი ნორმების და ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვაზე სასწავლო და სამუშაო გარემოში პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას“ და მის მიღწევაში პირდაპირ არის ჩართული პროექტების მართვის და პროფესიული პრაქტიკის კომპონენტები. გარდა ამისა, პროგრამას თან ახლავს კურიკულუმის რუკა, სადაც წარმოდგენილია კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს შორის სწავლის შედეგების გაცნობის, გაღრმავებისა და გამტკიცების დონეზე. ამასთან, პროგრამის კურიკულუმის რუკაზე ჩვენი აზრით არის გარკვეული ტექნიკური ხარვეზები გაპარული, მაგალითად: რუკაზე პროგრამის სწავლის შედეგების სრულად კი არის წარმოდგენილი, თუმცა მათი დაჯგუფებისას გამოტოვებულია ,,ავტონომიურობა პასუხისმგებლობის“ ნაწილი. ასევე ცნობილია, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი ლოგიკურად უნდა ვითარდებოდეს გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონეზე. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმის რუკის მიხედვით ბუნდოვანია სად ხდება მაგალითად,

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	პროგრამის 1-ლი სწავლის შედეგის განმტკიცება, პროგრამის მე-5 სწავლის შედეგის გაცნობა, პროგრამის მე-11 სწავლის შედეგის გაცნობა და გაღრმავება. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა მოცემული რეკომენდაცია, თუმცა რეკომენდაციის შესრულებისას დაშვებულია გარკვეული ტექნიკური უზუსტობები.
შეფასება	როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს დაწესებულების მხრიდან აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია, თუმცა კორექტირების პროცესში დაშვებულია სხვა ტიპის ტექნიკური შეცდომა.
მტკიცებულებ(ები)ა	▪ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; ▪ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ მენეჯმენტი“;

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.3. სასწავლო კურსი**
რეკომენდაცია II[15]	*რეკომენდირებულია განხორციელდეს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის (მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, უცხო ენების სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 1, უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენა 2, ფინანსური აღრიცხვა 1, ფინანსური აღრიცხვა 2 და ორგანიზაციული ქცევა) სწავლის შედეგების კორექტირება და მათი პროგრამის სწავლის შედეგებთან ლოგიკური კავშირის გათვალისწინებით.*
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაციის შესაბამისად განხორციელდა სასწავლო კურსების: მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, უცხო ენების, ფინანსური აღრიცხვა 1, ფინანსური აღრიცხვა 2 და ორგანიზაციული ქცევა სასწავლო კურსების სილაბუსებში განხორციელდა სწავლის შედეგების კორექტირება, კერძოდ აღნიშნული სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ ცოდნა და გაცნობიერების და უნარების განვითარებას, რაც

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ლოგიკურად არის აღნიშნული პროგრამის სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების რუკაზე.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	▪ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; ▪ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ მენეჯმენტი“; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები: მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, უცხო ენები, ფინანსური აღრიცხვა 1, ფინანსური აღრიცხვა 2, ორგანიზაციული ქცევა.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.6. სტუდენტების შეფასება**
რეკომენდაცია II[16]	*რეკომენდირებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და შუალედური შეფასებისათვის განკუთვნილი დრო*
შეფასება	როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა დაწესებულების მიერ გადახედილი იქნა ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა, რომელიც სტანდარტულად წარმოდგენილი იყო 1 საათის მოცულობით. აღნიშნულიდან გამომდინარე დაკორექტირდა შუალედური გამოცდის ხანგრძლივობები, კერძოდ ნაცვლად 1 საათისა უნივერსიტეტში მოქმედი დატვირთვის ნორმების გათვალისწინებითა და რსებული მიდგომების პირობებში საგამოცდო დრო გადანაწილდა თანაფარდობით: 1,5:1,5 სთ-ზე შემდეგ სასწავლო კურსებში: მათემატიკა ბიზნესისათვის 1, მათემატიკა ბიზნესისათვის 2, ინოვაციური მენეჯმენტი, ლიდერობა და გუნდის მართვა. გარდა ამისა, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკორექტირდა სასწავლო კურსის „პროექტის მართვის“ ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, კერძოდ პროექტის შესრულებისა და პრეზენტაციის 10 ქულიანი კომპონენტი ლოგიკურად შეიცვალა 30 ქულით.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

მტკიცებულებ(ები)ა	▪ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; ▪ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ▪ სასწავლო კურსის პროექტების მართვა სილაბუსი;

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.3. სასწავლო კურსი**
რეკომენდაცია II[17]	*რეკომენდირებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის გადახედვა, გადაფარვების აღმოფხვრა და ლოგიკური განვითარება;*
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ, შესაბამისად დაწესებულების მხრიდან განხორციელდა არსებული კუთხით პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა. შედეგად, დაიხვეწა სასწავლო კურსების „საინფორმაციო ტექნოლოგიები“, „Exel ბიზნესისათვის“, „მათემატიკა ბიზნესისთვის 2“ და „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“ შინაარსი, დაკორექტირდა ზოგიერთი საკითხის ფორმულირება არსებული მსგავსებების აღმოსაფხვრელად.
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან შესრულებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	▪ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; ▪ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ▪ სასწავლო კურსების: „საინფორმაციო ტექნოლოგიები“, „Exel ბიზნესისათვის“, „მათემატიკა ბიზნესისთვის 2“, „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“ სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.3. სასწავლო კურსი**

[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია II[18]	*რეკომენდირებულია სილაბუსებში ტექნიკური ხარვეზების აღმოფვრა;*
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ. რეკომენდაციის ფარგლებში დაწესებულების მხრიდან განხორციელდა ზოგიერთი სასწავლო კურსის (მათემატიკა ბიზნესისთვის 1, მათემატიკა ბიზნესისთვის 2, საბანკო საქმის საფუძვლები, უცხო (ინგლისური) ენა 1 და უცხო (ინგლისური) ენა 2) სილაბუსის დახვეწა ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრის თვალსაზრისით, შესაბამისად აღნიშნული კურსების სილაბუსებში სრულყოფილად არის მითითებული სილაბუსის ავტორი, შეფასების მეთოდოლოგია, შეფასების კრიტერიუმები, მოსალოდნელი სწავლის შედეგები, კურსის შინაარსი, საათობრივი დატვირთვა, დაშვების წინაპირობები, სწავლების სემესტრი, გამოყენებული სასწავლო ლიტერატურა და ა.შ.
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან შესრულებულია.
მტკიცებულებ(ები)ა	▪ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; ▪ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ▪ სასწავლო კურსების: მათემატიკა ბიზნესისთვის 1, მათემატიკა ბიზნესისთვის 2, საბანკო საქმის საფუძვლები, უცხო (ინგლისური) ენა 1 და უცხო (ინგლისური) ენა 2 სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.3. სასწავლო კურსი**
რეკომენდაცია II[19]	*რეკომენდირებულია კურსების სილაბუსებში ძირითადად ლიტერატურად მითითებული იყოს მხოლოდ სწავლების პროცესში გამოყენებული სახელმძღვანელოები.*
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაციის შესაბამისად მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ რეალურად სასწავლო კურსის შინაარსის შესწავლისას გამოყენებული ლიტერატურა. ამასთან, განახლებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა სალექციო კურსებით და სხვა საჭირო ლიტერატურით.

[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	▪ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; ▪ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“;

სტანდარტის დასახელება	**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**
კომპონენტის დასახელება	**4.1 ადამიანური რესურსი**
რეკომენდაცია II[20]	*რეკომენდირებულია გრძელვადიან პერიოდში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემცირდეს ერთი აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამით გაწერილი წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;*
შეფასება	რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულებამ განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები, კერძოდ სასწავლო პროცესში დამატებით იქნა ჩართული ერთი ეკონომიკის დოქტორი, ასევე სასწავლო პროცესში ჩართული იქნა აწსუ-ს ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რამაც შეამცირა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა. გარდა ამისა, დაწესებულება აქტიურად აგრძელებს მუშაობას დასქმების სექტორთან და ცდილობს მოიზიდოს კადრები სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით. მაგალითად, გაუხანგრძლივეს ხელშეკრულება VTB ბანკის ფილიალის მმართველს, ფინანსების დოქტორს, რომელიც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში და ა.შ.
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაცია მოცემული ეტაპისთვის შესრულებულია, ამასთან დაწესებულება აგრძელებს მუშაობას მოცემული მიმართულებით.
მტკიცებულებ(ები)ა	▪ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში; ▪ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი“; ▪ პროგრამის ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა;

[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

თანდართული დოკუმენტაცია[21]

- დანართი 1. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში (17 გვერდი);
- დანართი 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ მენეჯმენტი“ (19 გვერდი);
- დანართი 3. სასწავლო კურსების სილაბუსები:
  - მიკროეკონომიკის პრინციპები (9 გვერდი);
  - მაკროეკონომიკის პრინციპები (10 გვერდი);
  - უცხო ენები (გერმანული, ფრანგული, ინგლისური რუსული) – (480 გვერდი);
  - ფინანსური აღრიცხვა 1 (8 გვერდი);
  - ფინანსური აღრიცხვა 2 (7 გვერდი);
  - ორგანიზაციული ქცევა (7 გვერდი);
  - მათემატიკა ბიზნესისთვის 1 (7 გვერდი);
  - მათემატიკა ბიზნესისთვის 2 (7 გვერდი);
  - საბანკო საქმის საფუძვლები (6 გვერდი);
  - პროექტის მართვა (9 გვერდი);
  - საინფორმაციო ტექნოლოგიები (10 გვერდი);
  - Exel ბიზნესისათვის (5 გვერდი);
  - ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა (9 გვერდი);
- დანართი 4. პროგრამის ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა (3 გვერდი);

ექსპერტის ხელმოწერა



31/01/2022

[21] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა